

სტატიკური ზმნათა ერთი ჯგუფის მყოფადისათვის

დროის ცალკეული ნაკვეთების წარმოებას მიხედვით თანამედროვე ქართულში უფრო შესამჩნევ თავისებურებებს იჩენს საშუალო გვარის ზმნები, ვიდრე მოქმედებითი ან ვნებითი<sup>1</sup>. საშუალო გვარის ზმნათა ერთი დიდი ჯგუფი, როგორც ცნობილია, ნამყო ძირითადისა და მყოფადის გამოსახატავად ინაცვლებს მოქმედებითის სასუბიექტო ქცევის ფორმას (ცხოვრობ-ს: ი-ცხოვრა, ი-ცხოვრებს...), ხოლო მეორე, სტატიკური შინაარსის ზმნათა მცირერიცხოვანი ჯგუფი, ემყარება ვნებითის ფორმებს, კერძოდ, ი-პრეფიქსიან ფუძეს: ზის — ი-ჯდა, დგას — ი-დგა, ძევს — ი-დვა, წევს — ი-წვა, სხედან — ი-სხდნენ.

ძველ ქართულში ამ ზმნათაგან გამონაკლისი იყო ძევს (← || დევს), რომელიც ნამყო ძირითადის საწარმოებლად იყენებდა ი-პრეფიქსს: ძევს — ი-დვა<sup>2</sup>. დანარჩენებს ი- არ უქლოდა და ნამყო ძირითადის წარმოებაში დინამიკურ გარდაუვალ ზმნებს — დგება ტიპის ე. წ. უნიშნო ვნებითებს მიჰყვებოდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ზმნისწინს არ დაირთავდა: ზის — ჯდა, წევს — წვა, დგას — დგა, სხედან || სხენან — სხდეს<sup>3</sup>. ამ ტიპის უღვლილება ჯერ კიდევ არის შემორჩენილი ვეფხისტყაოსანში: ჯ და მტირალი წყლისა პირსა: 84,1; იგი ყმა საწოლს მარტო წვა: 1115,1; მას ღამეს ვსხედით ნადიმად: 467,1.

მაგრამ შემდეგ (დაახლოებით XIV—XV სს.) საყოველთაოდ გრცელდება ი-პრეფიქსიანი ფორმების გამოყენება: ი-ჯდე: უსწ. კარაბად., 254,4; 375,7; საწოლს ვიწვევ: რუსულ., 356,32; ასევე შაჰნა-

<sup>1</sup> ეს ფაქტი გარკვეული მნიშვნელობის მქონეა გვარის გრამატიკული კატეგორიის გენეზისისა და დროის კატეგორიასთან მისი ისტორიული მიმართების შესწავლის თვალსაზრისით.

<sup>2</sup> ი. ჯავახიშვილი, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბილისი, 1954, § 8—9, გვ. 150—156.

<sup>3</sup> იქვე, § 19, გვ. 222—225.

მე, 4268,1; სახლშიგან იწვეეს: უსწ. კარაბად., 5,26; 332,18; სიკვდილის პირზე იდგა: რუსულ., 320,10; 113,9; 166,36; 208,37; ასევე: შაჰნამე, 244,1; 246,3; -248,4.

დგას ტიპის საანალიზო ზმნები უძველესი სტატიკური ფუძეებია, რომლებიც დროთა წარმოების შემდგომ განვითარებულ სისტემას თითქოს ადვილად ვერ მოერგო. ერთი მხრით, ი-ღვა და ი-ცხოვრა ზმნათა ანალოგიამ (შდრ. აგრეთვე ძველი ქართულის ცნობილი გამოთქმა ინაქ-იდგა...), მეორე მხრით, რელატიური წარმოებისათვის გამოყენებულმა ფორმებმა (შდრ. ადგს — ე-ღვა და მისთ.) ხელი შეუწყო სალიტერატურო ენაში ნამყო ძირითადის (მეორე სერიის ნაკეთების) პარადიგმა ამგვარად დამკვიდრებულის: ი-ღვა, ი-წვა, ი-ჯდა, ი-სხდნენ. თუმცა, უნდა ვიფიქროთ, რომ ძველი ქართულის დიალექტში, სადაც ი-ღვა ფორმა იხმარებოდა, სავსებით კანონზომიერი და მოსალოდნელია ყოფილიყო ი-ღვა ტიპის ზემოთ ჩამოთვლილი ზმნებიც.

ამ დიალექტური სხვადასხვაობით აიხსნება რამდენადმე ის რთული ვითარება, რომელიც შეიქმნა აღნიშნულ ზმნათა მყოფადის გამოხატვისას ახალ ქართულში. დინამიკური ზმნებისათვის ჩვეულებრივია ზმნისწინიანი ფორმა (დგება: და-დგება, წვება: და-წვება...), მაგრამ ამავე ძირისაგან ნაწარმოებ სტატიკურ ზმნებში მყოფადის (ასევე მყოფადისეული ნამყოსა და კავშირებითის) სამგვარი წარმოება შეინიშნება: ი-დგება, ი-დგომება, ი-დგომილება<sup>4</sup> (შდრ. ე-დგომილება). თუმცა ამ უკანასკნელთ ჯერ კიდევ არ გაუწყვეტიათ კავშირი აწმყოსთან.

პირველ შემთხვევაში ამოსავალია უნიშნო. ვნებითის ფუძეები დგება, წვება, ჯდება, სხდება, რომელთაც დაერთვის ვნებითის საწარმოებლად გამოყენებული ი- პრეფიქსი:

#### ი-დგება:

სანამ სესია ფეხზე. ი დ გ ე ბ ა (ვ. ბარნ.).

ამ სახლებში სამასამდინ კომლი... ი დ გ ე ბ ა (ს. მაგლობ.).

ფეხზე რომ ი დ გ ე ბ ო და (რ. ინან.).

#### ი-ჯდება:

ეხლა თუნდ საღამომდინ ვ ი ჯ დ ე ბ ი (ილია).

მე კი აქ არხეინად ვ ი ჯ დ ე ბ ი (თ. რაზიკ.).

შენც ჩემ გვერდით ი ჯ დ ე ბ ი (გ. ყიფშ. თარგმ.).

ვინ იცის, რამდენ ხანს ვ ი ჯ დ ე ბ ო დ ი (თ. რაზიკ.).

დიდხანს ი ჯ დ ე ბ ო და. ასე გაუნძრევლად (ნ. ლომ.).

ი ჯ დ ე ბ ო და აღთქმის თანახმად გაუთხოვარი (შ. არაგვ.).

<sup>4</sup> ი-დგომ-ილ-ება მყოფადის მნიშვნელობით იხმარება გურულ კილოში.

თუ ამ ტიპის ზმნებისათვის ამგვარ წარმოებას ნორმად მივიჩნევდით, მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო წევს — იწვება (დაწოლილი იქნება), სხედან — ისხდებიან (დამსხდარი იქნებიან), თუმცა ასეთი ნიმუშები თითქმის არ გვხვდება. ძალიან იშვიათია აგრეთვე რელატიური ფორმები ე-დგება, ე-ჯდება.

მეორე შემთხვევაში ზმნის პირიან ფორმათა წარმოება აწმყო-მყოფადის წყებისათვის ემყარება ნამყოს ვნებითური შინაარსის (სასუბიექტო) მიმღეობის -ილ სუფიქსიან დიალექტურ ვარიანტს, რომელიც შედარებით ნაკლებად არის ამჟამად გავრცელებული: და-დგომ-ილ-ი (მდრ. და-მ-დგ-არ-ი), და-ჯდომ-ილ-ი (შენ ჯ დ ო მ ი ლ ხ ა რ სავაზიროდ: ვეფხისტყაოსანი, 525,2), და-სხდომ-ილ-ი (ს ხ დ ო მ ი ლ ი ყ ო რ ა ც ა პურად: ვეფხისტყაოსანი, 1127,3). აქედან მხატვრული ლიტერატურის ტექსტების მიხედვით დადასტურებულია ორი ზმნის და ისიც მარტოოდენ ე-პრეფიქსიანი ფორმები — ე-დგომ-ილ-ება, ე-ჯდომ-ილ-ება<sup>5</sup>:

ე-ჯდომილება:

მიტრუა ვერ ისვენებდა, არ ეჯდომილებოდა (შ. არაგვ.).

ე-დგომილება:

ქურდის შიშით აქ არ მედგომილება (ილია).

მაშინ აღარ გვედგომილება (ვ. ბარნ.).

თავის ადგილას აღარ ედგომილება (ილია).

სახლი ასე არის მორთული... ხელმწიფეს ედგომილება (ლ. არდაზ.).

იქ თავვეებს აღარ ედგომილება (თ. რაჭიკ.).

ღვთისიასაც აღარ ედგომილება ოდა ჩვენთან (ვაჟა).

პიმენს აღარ ედგომილება ოდა (ს. მგალობ.).

სავურამოში მაშინ აღარავის აღარ ედგომილება ოდა („ლიტ. ვაზ.“).

რომ სახლში აღარავის ედგომილება ოდეს (ვაჟა).

ე-დგომ-ილ-ება ტიპის ნამიმღეობარ წარმოებაში ჯერ კიდევ ყველაზე მკაფიოდ ჩანს პოტენციალისის შინაარსი აწმყოში: დადგომა, გაჩერება, გაძლება, ყოფა, ცხოვრება (არ) შეუძლია — ასეთია ამ ზმნის მნიშვნელობა აწმყოში და, თუ აღნაგობის შესაფერისად მეორე პირი შეიწყო, მაშინ თავისებური (სავარაუდო, შესაძლებელი, საეგე-

<sup>5</sup> ლიტერატურაში ნახშირი სასუბიექტო ქცევის იშვიათი ფორმების მიხედვით ჩანს, რომ ე-პრეფიქსიანი ვნებითიც არ უნდა ყოფილიყო შეუძლებელი: „იმ სოფელში... ვეღარ ვიდგომილე“ (ილია, „გლახის ნაამბობი“); „ვენაცვლე იმის გულ-მყერდა, შაიხ დომლებენ შანასა“ (ვაჟა, „ხახტრიონი“).

აღსანიშნავია აგრეთვე ოდნავი ფონეტიკური ცვლილება: ედგომილება — ედგომინება: „ოთახში კაცს არ ედგომინება“ (ეკ. გაბ.); ედგომილება — ედგომლება: „სამთოდ გავიდა ცხვარ-ძროხა, არ ედგომლება ბარშია“ (ვაჟა).

ბიო-საალბათო) შინაარსის მყოფადიცი შეიძლება გამოხატოს: „მას (ალბათ) სახლიც (არ) ედგომილება“. თუმცა ასეთი კონტექსტები თითქმის არ გვხვდება.

მესამე შემთხვევაში ამოსავალია განხილული ზმნური ერთეულების შესაფერისი მასდარის ფუძეები: **დგ-ომ-ა**, **წ-ოლ-ა**, **ჯდ-ომ-ა**, **სხდ-ომ-ა**, რომელთა პირიან ფორმებს წარმოქმნის ი- — ებ აფიქსები:

**ი-წოლ-ებ-ა:**

რამდენ ხანს იწოლებოდა ასე (რ. ჯაფარ.).

**ი-დგომ-ებ-ა:**

მადამ სალის შევუამხანაგდები... და ერთად ვიდგომებითო (გ. წერეთ.).

ფეხზე აღარ იდგომება სიხარულით (აკაკი).

სოციალისტური რესპუბლიკა იდგომება მტკიცედ („კომუნისტი“).

იდგომება მუშათა კლასის სადარაჯოზე („სახ. გან.“).

ჩვენ... ავიაცია და ფლოტი ფხიზლად იდგომებიან („კომუნისტი“).

... რომლებიც აეტორებთან ახლო იდგომებიან („ლიტ. გაზ.“).

ცხადია, რომ ამ ყალიბის მიხედვით მოსალოდნელი და სავსებით ბუნებრივ-შესაძლებელია **იჯდომება**, **ისხდომებიან**. უდავოა აგრეთვე ისიც, რომ ამ ზმნათა თავდაპირველი გამოყენება პოტენციალისის შინაარსს უკავშირდება: **იდგომება** — **დგომა**, **გაჩერება** შეიძლება. მაგრამ თანამედროვე ქართულში ეს მნიშვნელობა უკვე დაკარგულია: ამ ტიპის ზმნებს მკაფიოდ გამოხატული მყოფადის მნიშვნელობა აქვთ, რაც კარგად ჩანს თუნდაც წარმოდგენილი კონტექსტებიდან. პოტენციალისის გაგება მყოფადში აქ თითქმის აღარ გვხვდება (განსაკუთრებულ შემთხვევაში იგი შეიძლება გამოიხატოს: (არ) **დაიდგომება**, (არ) **დაიწოლება**, (არ) **დაიჯდომება**, მაგრამ ლიტერატურაში ეს არ დასტურდება). როგორც ზემოთ ვნახეთ, პოტენციალისის შინაარსი მოძველებულმა **ედგომილება** ტიპის წარმოებამ შეინარჩუნა, განსაკუთრებით კი — უფრო გავრცელებულმა და ახალმა ფორმებმა, რომლებიც იმავე მასდარისაგან იწარმოება ე- პრეფიქსით:

**ე-დგ-ომ-ებ-ა:**

მაგისტანა კაცს ჩვენში არ ედგომება (გ. წერეთ.).

მე ამ ოჯახში აღარ მედგომებოდა (ე. ნინოშ.).

ვახტანგს ქართლში აღარ ედგომებოდა (საქ. ისტ.).

როგორ უნდა ედგომებოდეს ქვეყანაზე (გ. წერეთ.).

პოტენციალისის მნიშვნელობის მქონე ზოგი ზმნისაგან განსხვავებით (შდრ. **იჭმება**, **ისმება...**) აქ ფართოდ არის გავრცელებული მყოფადის წრის ზმნისწინდართული ფორმები (ჩვეულებრივ, კვლავ ა(ღა)რ უარყოფითი ნაწილაკით):

## და-ე-დგ-ომ-ებ-ა:

კორტოსს აქეთ აღარ დამედგომება (აკაკი).

მე აქ აღარ დამედგომება (შ. დად.).

აქ აღარ დავგედგომება (მ. ჯავახ.).

ამ ქვეყანაში აღარ დავგედგომება (აკაკი).

აქ კაცს არ დაედგომება (ნ. ლომ.).

აქ რაღა დავგედგომებოდა (თ. რაჭი.).

ქალაქში არ დამედგომებოდა (ნ. ლორთქ.).

რომ აღამიანს დაედგომებოდეს შიგა („ლიტ. გაზ.“).

განხილულ ზმნათაგან ედგომილება-ს საბოლოოდ ცვლის ედგომება. იდგება და იდგომება წარმოებასთან შედარებით მასში მეტია პოტენციალისის გაგება, წმინდა მყოფადის შინაარსით მისი გამოყენება ჯერ კიდევ არ არის გავრცელებული, ამდენად ამ მნიშვნელობით ერთერთის მოცილებლად რჩება იდგება და იდგომება. რა შეიძლება ითქვას თითოეულ მათგანზე?

**ი-დგება, ი-ჯდება** ნაწარმოებია სტატიკურ ზმნათა აწმყოს — დგას, ზის და მისთ. — ნამყო ძირითადადში მონაცვლედ გამოყენებული **ი-დგა, ი-ჯდა**-ს ანალოგიით, თუმცა, რა თქმა უნდა, არასწორად: საქმე ის არის, რომ **ი-დგება** ემყარება უგრეთ წოდებული უნიშნო ვნებითის ფუძეს, რომელსაც გრამატიკულად და სემანტიკურად ყოვლად გაუმართლებელია ერთოდეს ვნებითის **ი-** პრეფიქსი. უნიშნო ვნებითი საერთოდ ზმნურ ფუძეთა წარმოების მხრივ ყველაზე მოუქნელი და უპროდუქციოა, მას მხოლოდ ნეიტრალური და საობიექტო ქცევის ფორმები თუ ეწარმოება (**ა-დგება, უ-დგება; შდრ. დნება: ა-დნება, უ-დნება...**), სხვაგვარი წარმოება უჩვეულოა<sup>6</sup>. ამგვარად, **ი-დგება** ისევე უკანონოა გრამატიკული წარმოების თვალსაზრისით, როგორც **ი-თვრება** ან ამ ტიპის ხელოვნური ფორმები; თანაც **ი-თვრება**-ს მსგავსად **ი-დგება** ზმნასაც აწმყოდ გაგების საფუძველი უფრო აქვს, ვიდრე მყოფადად.

**ი-დგება** სხვა მხრივაც არის ნაკლულევანი და უხერხული: სადაც ვნებითის საწარმოებლად **ი-** პრეფიქსი გამოიყოფა ზმნაში, იქ, ჩვეულებრივ, **ე-** პრეფიქსიც სავარაუდებელია (შდრ. **ი-მღერება, ე-მღერე-**

<sup>6</sup> ანალოგიურია და არავითარი გავრცელების ტენდენცია არა აქვს ასევე **და-თვრა**-ს ნაცვლად **და-ი-თრო**-ს, რაც კანტიკუნტად იხმარება (ქ. ლომთათიძე, **თბება** ტიპის ზმნათა ისტორიისათვის ქართულში: ივე, IV, 1952, გვ. 81).

ასეთი უღვლილების ორიოდე ზმნა სხვაც არის: **იცივთება, იცობა, იღობა**, რაც აღნიშნულია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში. მაგრამ ეს ფორმები ნორმად არაა მიჩნეული.

ბა...), აქ კი ასეთი რამ შეუძლებელია, **ე-დგება, ე-წვება**<sup>7</sup>, **ე-სხდებიან** არ იხმარება. განსაკუთრებით უხერხულია ეს უკანასკნელი: **წევს, წოლა-ს მნიშვნელობით ი-წვება, ე-წვება** არ დასტურდება და ვერც დავენერგავთ...<sup>8</sup> ბოლოს, **ი-დგება** ტიპის წარმოება არაა საყოველთაოდ გავრცელებული და გაბატონებული თანამედროვე ქართულში, შეიქმლება ითქვას, რომ მას მინცდამინც არ უჩანს დამკვიდრების ტენდენცია.

რაც შეეხება **ი-დგომება** ტიპის წარმოებას, მას ამჟამად უკვე გაწყვეტილი აქვს კავშირი პოტენციალისის პირვანდელ გაგებასთან აწმყოში და უზმნისწინოდ გამოხატავს მყოფადს; ეს მყოფადი ზედმიწევნით შეეფერება იმ გაგებას, რომელსაც **დგას, წევს, სხედან, ზის** ზმნები გულისხმობს სტატიკურობის ნიუანსის თვალსაზრისით: **დგას** — დამდგარი არის; **იდგომება** — დამდგარი იქნება<sup>9</sup> (შდრ. **და-დგება, და-თბება, და-დნება...**). ამასთან ერთად **ი-დგომება** შედარებით უფრო მეტად მოქნილია სიტყვაწარმოებისათვის: უკეთდება **ე-პრეფიქსიანი რელატიური ფორმები**, დაირთავს ზმნისწინს: **ი-დგომება: ე-დგომება, და-ი/ე-დგომება**; ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ისიც, რომ ამგვარი წარმოება ეგუება ყველა განხილულ ზმნას უგამონაკლისოდ: **ი-დგომება, ი-წოლება, ი-ჯდომება, ი-სხდომებიან**.

მთავარი ის არის, რომ **ი-დგომება** სწორია გრამატიკული წარმოების თვალსაზრისით. თუ შევიდარებთ ანალოგიური აღნაგობის ზმნებს, რომლებშიც **-ომ** სუფიქსი **-ოლ** სუფიქსის მონაცვლედ არის დადასტურებული თვით მასდარშიც<sup>10</sup>, ვნახავთ, რომ ფუძის ეს საწარმოებელი მყოფადში აქაც (**დგ-ომ-ა: ი-დგ-ომ-ება; წ-ოლ-ა: ი-წ-ოლ-ება**) და სხვაგანაც გადაჰყვება: **უნდა: ნდ-ომ-ა: მო-ი-ნდომ-ებს, ე-ნდ-ომ-ება:**

7 ერთადერთი მაგალითია ითქვას **ე-ჯდება** (შდრ. „იმას რომ მიგნება ჰქონოდა, ეხლა შეილი კალთაში გეჯდებოდა“: ილია), რომელიც საზიარო რელატიური ფორმა ნამყო ძირითადში საშუალო გვარის **უ-ზის, ა-ზის** ზმნათათვის (ასევე: **უ-დგას, ა-დგას — ედგა || უდგა; უ-წევს, ა-წევს — ე-წვა || უწვა**), მაგრამ იგი აწმყოში ხელოვნურია და არც გვხვდება.

8 შდრ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. III, ტ. IV.

9 ამგვარივე ნიუანსების თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე სასაუბრო მეტყველებაში გავრცელებული შესაძლებელ-სავარაუდებელი შინაარსის მქონე გამოთქმები: ცივა და **ეცივება** (სიცივე იქნება, შდრ. აცივდება), გრილა და **ეგრილება** (სიგრილე იქნება, შდრ. აგრილდება), ჰშია და **ეშიება** (მოშივებული იქნება, შდრ. მოშივდება), სწყურია და **ეწყურება** (მოწყურებული იქნება, წყალი ენდომება, შდრ. მოსწყურდება).

10 მაგალითად, **კრთომა || კრთოლა**: არნ: ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ენებითის ჩამოყალიბების ზოგი საკითხისათვის ქართულში მასდარის ჩვენებათა მიხედვით: ივე, VIII, 1956, გვ. 516.

რადღა შენდომება არსებობა (ვ. ბარნ.).

კაცს ყოველთვის ენდომება (ილია).

რა ენდომებათ ამ უღრთვოდ? (ს. შვალაძე.).

მაგენსაც იგი ენდომება (გ. წერეთ.).

ვაუს რა ენდომება (მ. ჯავახ.).

ამავე რიგის არის შრ-ომ-ა (შდრ. და-შუ-ერ): ი-შრ-ომ-ებს; დაი-  
ხს-ომ-ებს; ბრძ-ოლ-ა: შეე-ბრძ-ოლ-ება; ქრ-ოლ-ა: ი-ქრ-ოლ-ებს და  
სხვა. იგივე ფუძე საზიაროა აგრეთვე მესამე სერიის ნაკვეთებისათვის.  
და ბუნებრივი ჩანს ზოგი მათგანის გამოყენება თავისებური ტიპის  
მიმღებობებში: ჯდომ-ია, წოლ-ია („წოლია ცხენი“: ხმარობს მწე-  
რალი უიარაღო).

ამგვარად, გრამატიკული წარმოების ნორმალურობა და მოქნი-  
ლობა იდგომება ტიპის ზმნებს უქმნის თანამედროვე ქართულ ენაში  
გავრცელებისა და დამკვიდრების პირობებს. ამით აიხსნება, რომ იგი  
უფრო ფართოდ არის გამოყენებული ლიტერატურაში, გვხვდება პრე-  
სის ენაში.

თუ ყოველივე ამას მივიღებდით მხედველობაში, საჭირო და სა-  
სურველი იქნებოდა აღგვეკვეთა სიჭრელე, ორი ტოლმნიშვნელოვანი  
გრამატიკული ფორმიდან მყოფადისათვის დაგვეტოვებინა ერთ-ერთი  
(ჩვენი შეხედულებით, იდგომება, იწოლება, იჯდომება, ისხდომებთან)  
და ამის თაობაზე სათანადო მითითება ყოფილიყო ლექსიკონებში  
(კერძოდ, ორთოგრაფიულ ლექსიკონში).